ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№62. 622312816**
თარიღი:**08/05/2023**

10000 კილოგრამი (სავარაუდო წონა) შავი მეტალის ჯართის პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.ა“–ქვეპუნქტის, ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-II თავის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 01 მაისის №გ-63.63231215 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. 10000 კილოგრამი (სავარაუდო წონა) შავი მეტალის ჯართის პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. ელექტრონულ აუქციონზე 10000 კილოგრამი (სავარაუდო წონა) შავი მეტალის ჯართის საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 5800 (ხუთიათას რვაასი) ლარი (ერთი კილოგრამი შავი მეტალის ჯართის საწყისი ფასი 0,58 (ორმოცდათვრამეტი თეთრი) ლარი).

1.3. ელექტრონულ აუქციონზე 10000 კილოგრამი (სავარაუდო წონა) შავი მეტალის ჯართის ბიჯი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

1.4. ელექტრონულ აუქციონზე 10000 კილოგრამი (სავარაუდო წონა) შავი მეტალის ჯართის საგარანტიო თანხა განისაზღვროს 3000 (სამიათასი) ლარის ოდენობით.

1.5. შავი მეტალის ჯართის წონა არის სავარუდო. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი - მყიდველი ვალდებულია ქონების მიღებამდე მოახდინოს მისი გადაწონვა მერიის წარმომადგენლის თანდასწრებით, რის შემდეგაც განხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორება.

2. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი

ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ბახტაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი